ხელშეკრულება № 6Ω/28/12/16
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ, შპს „საქაერონავიგაცია“ (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გოჩა მეზვრიშვილის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ავერსი–ფარმა“** (შემდგომში – “მიმწოდებელი’), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაციო #161290554; ინდივიდუალური #73809099567616) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ,,საქართველოს კანონის” მე-3 მუხლის ,,ს1” პუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის” შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა (რომლის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან) დანართი #1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. შემსყიდველის რესურსის მოთხოვნის განაცხადი: #552/2–16.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ფარმაცევტული პროდუქტი (CPV33600000) - (შემდგომში – „საქონელი“), რომლის ზუსტი დასახელება და პარამეტრები მითითებულია შესაბამის დანართი #1–ში, რომელიც თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 3390,75 (სამი ათას სამას ოთხმოცდაათი ლარი და 75 თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (გარდა დღგ-სი, ვინაიდან საქონელს არ ერიცხება დღგ).

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ადგილია: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი, III კვარტალი 9 კორპუსი (შპს „ავერსი–ფარმას“ აფთიაქი). საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5.2. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სასაქონლო ზედნადების წარდგენა შემსყიდველისათვის.

5.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 2016 წლის 27 დეკემბრისა.

6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება ფორმდება და მისი გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, მიმწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები. ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. შემსყიდველის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება: ჯ. ვაჭარაძეს (შესყიდვების ექსპედიტორი).

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

7.2. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიოწდების შემდგომ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს სპეციალურად უფლებამოსილ პირს - ჯ. ვაჭარაძეს (შესყიდვების ექსპედიტორი).

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს საქონლის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

12. ფორს–მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. საქონლის შემოწმების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

14.2. ხელშეკრულების პირობები შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით განახორციელებს ჯაბა ვაჭარაძე (შესყიდვების ექსპედიტორი), რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები).

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.4. სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
შპს "საქაერონავიგაცია"
მის: ქ. თბილისი, აეროპორტი
ს/კ: 208144051
სს "ბანკი რესპუბლიკა",
ბანკის კოდი: REPLGE22,
ა/ა: GE69BR0000000005467067

გენერალური დირექტორი:

/გ.მეზვრიშვილი/

მიმწოდებელი:
შპს „ავერსი–ფარმა"
მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. #148
ს/კ 211386695
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE06BG0000000122932100

კომერციული დირექტორი:

/ე. მიქელაძე/

დანართი #1
2016 წლის 22 დეკემბრის ხელშეკრულებაზე: 61/28/12/16

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო თანხა
ადრენალინ დარნ.0.18% 1მლ #10ა	1	6.35	6.35
აისოლი 20.82გ #20 პაკეტი	8	22.5	180
ალერტეკი 10მგ #20ტ GMP	10	13.85	138.5
ანაპრილინი 0.04გ #50ტ (ბელ)	8	0.9	7.2
ასპარკამი #50ტ	10	0.95	9.5
ასპირინი C #10ტ შუშხუნა BAYER	18	5.61	100.98
ბამბა 50გ (იმპ)	20	0.5	10
ბინტი 5მx10სმ სტერილური	30	0.5	15
ბრილიანტის მწვანე 1% 10მლ(თბ)	15	0.29	4.35
გეპარინის მალამო 25გ ტუბ(ნიეფ.	10	2.3	23
დექსამეტაზონი 4მგ/1მლ #25ა	8	17.4	139.2
დიდროფი 0.1% 10მლ ცხ.წვეთები	12	4.2	50.4
დიკლარენი 50მგ #20ტ	10	6.9	69
დიკლოფენაკი 1% 40გ გელი (ჰემფ)	15	5.25	78.75
დიკლოფენაკი 75მგ/3მლ #5ა(ჰემფ)	10	3.85	38.5
დიმედროლი 1% 1მლ #10ა(დარნიცა)	8	1.9	15.2
ეთანოლი სამედიცინო 100მლ	30	1.25	37.5
ენაპი-H 10მგ/25მგ #20ტ	5	4.3	21.5
ეფექტი ფლუ #10კაფს	20	6.5	130
ვალერიანის ნაყენი 30მლ ფლ	30	0.85	25.5
თერმომეტრი სამედ.(იმპ)	10	1.4	14
იმოდიუმი 2მგ #20კაფს	10	8.5	85
იოდის სპირტხსნარი 5% 10მლ (თბ)	15	0.49	7.35
კაპტოპრილი 25მგ #40ტ (პოლ)	50	7.4	370
კეტოროლაკი 10მგ #20ტ	40	1.05	42
კორდიამინი 25% 25მლ (საქ)	15	2.8	42
კორვალოლი 25მლ #1ფლ(თბქიმფარმ)	60	1.1	66
კოფეინი ნ/ბ 0.2გ #10ტ	10	1.9	19
კოფეინი ნ/ბ 20% 1მლ #10ა (თბ)	8	1.4	11.2
ლევომეკოლის მალამო 40გ ტ(ნიეფ.	10	3.6	36
ლევომიცეტინი 0.5გ #10ტ (დარნიც	15	1.9	28.5
ლეიკოპლ."მედპლასტი"#10	100	0.25	25
ლეიკოპლ.2.5სმx500სმ#12(ქსოვ)	1.6667	10.8	18
ლეკროლინი 20მგ/მლ 10მლ ფლ	10	5.61	56.1
მეზიმ ფორტე 3500ერთ #20დრაჟე	15	3.91	58.65
მეტოკლოპრამიდი 5მგ/მლ 2მლ#10ა	8	3	24
ნალგეზინი (ნაპროქს)275მგ #10ტ	10	6.97	69.7
ნახშირი გააქტ.0.25გ #10ტ	80	0.22	17.6
ნიმესილი 100მგ/2გ გრან.#30პაკ	7	13.95	97.65
ნიშად. სპირტი 10% 100მლ(თბ)	8	0.7	5.6
ნო-შპა 40მგ #100ტ	15	10.9	163.5

ომეპრაზოლი(ომეზი)20მგ #10კაფს	25	0.65	16.25
სალბუტამოლი 100მკგ/დ200დ.აეGSK	4	7.5	30
სმექტა #1პაკეტი	150	0.47	70.5
სტრეპტოციდის მა-მო 10% 25გ ტუბ	10	1.3	13
ტანტუმ ვერდე 3მგ #20ტ ლინგვალ	22	15	330
ფალიმინტი 0.025გ #20დრ	16	5.54	88.64
ფერვექსი შაქრით #8პაკ	20	11	220
ფიზიოტენზი 0.4მგ #14ტ	4	23.66	94.64
ფიტოსელი 25მლ ფლ	20	1.2	24
ფოსფალუგელი 16გ #20 პაკეტი	8	14.13	113.04
ფუროსემიდი 40მგ #50ტ	5	0.8	4
შპრიცი ერთჯერადი 2მლ რ/დგ	80	0.09	7.2
შპრიცი ერთჯერადი 5მლ რ/დ	100	0.12	12
წყალბადის ზეჟანგი 3% 100მლ საქ	20	0.51	10.2

სულ: 3390.75 ლარი

შემსყიდველი:
შპს "საქაერონავიგაცია"
მის: ქ. თბილისი, აეროპორტი
ს/კ: 208144051
სს "ბანკი რესპუბლიკა",
ბანკის კოდი: REPLGE22,
ა/ა: E69BR0000000005467067

გენერალური დირექტორი:

/გ.მეზვრიშვილი/

მიმწოდებელი:
შპს „ავერსი–ფარმა"
მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. #148
ს/კ 211386695
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE06BG0000000122932100

კომერციული დირექტორი:

/ე. მიქელაძე/